# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №3

23 დეკემბერი, 2021 წელი
17:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

კახაბერ ლაზუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, მარიამ ზაქარიაშვილი, ნათია მოდებაძე და გიორგი შარაშიძე.

**მოწვეული სტუმრები:**

1. მაკა ნასრაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
3. გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. ნინო სულაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, პროექტებისა და პროგრამების განყოფილების უფროსი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაზუჩიძე.**

## სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა და 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების განხილვა.

**მომხსენებელი:** მაკა ნასრაშვილი

**თანამდებობა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

**თანამომხსენებელი:** გოგი ჩიქოვანი

**თანამდებობა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პრეზენტაციის სახით წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, დედაქალაქში კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები, პანდემიური ვითარების მიუხედავად, შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2021 წელს განხორციელდა 200-მდე თემატიკისა და მასშტაბურობის პროექტი და ეს პროცესი განგრძობადია.

კომისიის თავმჯდომარემ, მოკლე მოხსენების შემდეგ, სიტყვა გადასცა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს მაკა ნასრაშვილს, რომელმაც ანგარიში პრეზენტაციის ფორმატით წარმოადგინა **(იხ., პრეზენტაცია დანართი №1-ის სახით, 24 ფრ).**

მაკა ნასრაშვილმა დეტალურად ისაუბრა დედაქალაქში განათლებისა და კულტურის მიმართულებით მიმდინარე პროექტებზე და 2022 წელს დაგეგმილ ღონისძიებებზე. მისი განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური კოორდინაციას უწევს 33 ხელოვნების სკოლას, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯს, ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეას, მუზეუმების გაერთიანებას (9 სტრუქტურული ერთეულით), მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებას (38 სტრუქტურული ერთეულით), 4 მუნიციპალურ თეატრს, თანამედროვე საბალეტო დასს, თბილისის საკონცერტო ორკესტრს ბიგ-ბენდს, თბილისის საზოგადო მოღვაწეთა (მთაწმინდის, დიდუბის, ხოჯევანქის, მახათას) პანთეონებს და თბილისის წიგნის მსოფლიო დედაქალაქს. მაკა ნასრაშვილის განცხადებით, 2021 წელს განხორციელდა კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 ბიბლიოთეკას, ვაკის მედიათეკას და დაიწყო სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის რეაბილიტაცია. ამასთან, პანტომიმის თეატრს გადაეცა მიწის ნაკვეთი ლისის ტბის მიმდებარედ, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტია დიდი ისტორიის მქონე თეატრისთვის. უპირველესად, პანტომიმას ექნება ის სივრცე, სადაც განთავსდება სასწავლო ცენტრი, რომელიც თავის მხრივ თეატრის საქმიანობის მომავალ პოპულარიზაციას უზრუნველყოფს. ამასთან, დასრულდა ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღჭურვის პროცესი.

მაკა ნასრაშვილი ასევე შეეხო სამუზეუმო პოლიტიკას და მუზეუმების გაერთიანების ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მისი განცხადებით, სრულად რეაბილიტირდა და განახლდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, კოტე და სოსო წერეთლების, გალაკტიონ ტაბიძის, შიო არაგვისპირელის, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მნიშვნელოვანია, რომ მოხდა სამუზეუმო ფონდების შეძენა, მომზადდა 6 ორენოვანი საერთაშორისო გამოცემა, უწყვეტად ჩატარდა 30-ზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამა და სემინარი, საერთაშორისო კონფერენციები. ერთი თვის წინ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა გააგზავნა განაცხადი იუნესკოში (UNESCO CREATIVE CITIES NETWORK 2021-ზე) და ნოემბერში, როგორც ცნობილი გახდა, თბილისი გახდა ამ კონკურსის

გამარჯვებული ქალაქი. შედეგად, თბილისი რეგიონში პირველი ქალაქი გახდა, ვინც იუნესკოდან მოიპოვა ეს სტატუსი. UNESCO CREATIVE CITIES NETWORK 2021 გულისხმობს წევრ ქალაქებთან კულტურულ და შემოქმედებით დაახლოებას, გამოცდილებათა გაცვლას, საერთო პროგრამების განხორციელებას, ახალგაზრდების ჩართულობას და ინდუსტრიის პრიორიტეტად გამოცხადებას. ამ ქალაქების ქსელს აქვს დამოუკიდებელი ვებგვერდი, სადაც თბილისის რეკვიზიტები დაემატა, რითაც მოხდა მისი ინტეგრირება.

მაკა ნასრაშვილმა ასევე ისაუბრა „შემოქმედებითი თბილისის" პროგრამაზე, რომელიც მოიცავს: საგამომცემლო საქმიანობას, დიზაინსა და რეწვას, ვიზუალურ ხელოვნებას და აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებას, რომლის ფარგლებში უამრავ ხელოვანს მიეცა ინოვაციურ-შემოქმედებითი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა.

2022 წლის განათლებისა და კულტურის სამომავლო პოლიტიკასთან მიმართებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის, გოგი ჩიქოვანის მიერ აღინიშნა, რომ გაგრძელდება ახალგაზრდული ორკესტრების, ფესტივალების და ღონისძიებების დაფინანსება, რომელშიც ჩართული იქნება 20 000-მდე ახალგაზრდა. კვლავ პრიორიტეტულია სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც, 2021 წელს 3000-მდე თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტს მიეცა სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა. ამ მხრივ, 2021 წელს ბიუჯეტი გაორმაგდა, დაფინანსების წესიც შეიცვალა და თუ აქამდე 70 000 და ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი სტუდენტი იღებდა ფინანსურ მხარდაჭერას, ახლა უკვე, სოციალური ქულა გაიზარდა 150 000-დე, შესაბამისად, დაფინანსების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობაც გაორმაგდა. ასევე, 2022 წლიდან დაგეგმილია აღნიშნულ პროგრამას დაემატოს ახალი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს თბილისში რეგისტრირებული შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას.

გოგი ჩიქოვანმა ასე წარადგინა ინფორმაცია პროექტზე, „ისწავლე და დასაქმდი", რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს 2018 წლიდან; სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობით, სამსახურის მაძიებელი მოქალაქეებისათვის ხორციელდება მოკლევადიანი პროფესიული გადამზადება. 2018-2020 წლებში 4500-ზე მეტი მოქალაქე იყო ჩართული აღნიშნულ პროექტში, პროგრამა მთლიანად მორგებულია კერძო სექტორის მოთხოვნებზე და დასაქმების მაჩვენებელიც საკმაოდ გაიზარდა. როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, კერძო პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების ნიშნულმა 80-90% ნიშნულს მიაღწია. მისი განმარტებით, კომპანიას, რომელსაც შემოაქვს ახალი ტექნოლოგია, სჭირდება სპეციალისტი, მას არ ჰყავს კვალიფიციური კადრი, უკვეთავს პროფესიულ სასწავლებელს, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადამზადებას. ამასთან, პროფესიული ცენტრები ლეგალური დასაქმების არაჩვეულებრივი საშუალებაა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა, გოგი ჩიქოვანმა ასევე წარმოადგინა ინფორმაცია არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზეც, რაშიც იგულისხმება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე. 2018 წელს სამსახურმა დაიწყო გარკვეული სამუშაოების ჩატარება, რაც გულისხმობდა გათბობა-გაგრილების, გადახურვის სამუშაოებს, მოგვიანებით, თბილისის განვითარების ფონდის მიერ, პირველ

ეტაპზე განხორციელდა შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ხოლო მთლიანი სამუშაოების რეაბილიტაციის პროცესი დასრულდება 2023 წლისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის, შიდა სივრცეების განახლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს, საქართველო შეუერთდა ევროპის ახალგაზრდულ საინფორმაციო ქსელს, რომელიც აერთიანებს ევროპის მასშტაბით ახალგაზრდების ბევრ შესაძლებლობას, რაც უკავშირდება სასწავლო გრანტებს, მობილობას, სტაჟირებას, დასაქმებას, საერთაშორისო მოხალისეობას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ერასმუს+ პროგრამა. გოგი ჩიქოვანის განმარტებით, კულტურა, განათლება და სპორტი ახალგაზრდობის სფეროში, ევროპაში ყველაზე მასშტაბური პროგრამაა. დაახლოებით 5 მილიარდია გამოყოფილი ამ მიმართულებით. წინა წლებში მოძიებულ იქნა ნახევარი მილიონის გრანტი და 2022 წელსაც დაგეგმილია ახალი პროექტების მომზადება, რაც მობილობაში დაეხმარება არაფორმალური განათლების და ახალგაზრდობის სფეროში დასაქმებულ პირებს.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**

კახაბერ ლაბუჩიძემ, მაკა ნასრაშვილმა, გოგი ჩიქოვანმა, გიორგი შარაშიძემ და თინათინ ნიბლოშვილმა.

კომისიის წევრების გარდა, სხდომას ესწრებოდა კულტურის საკითხებში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი მარიკა დარჩია და საკრებულოს წევრი ვახტანგ სურგულაძე, რომელთა შეკითხვები შეეხებოდა სამუზეუმო რეფორმას, სამუზეუმო საქმის პიარ-სტრატეგიას და სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტთა დაფინანსების წესს. ვახტანგ სურგულაძე ასევე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ახალი მუზეუმის გახსნა, მაგალითისთვის, სერგო ფარაჯანოვის მუზეუმის დაფუძნება რამდენად არის შესაძლებელი, რაზეც მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 6 წელია ახალი მუზეუმი არ დაფუძნებულა და ვიდრე თბილისის თოჯინების თეატრის შენობის პრობლემა არ მოგვარდება, მანამდე ახალი მუზეუმის დაფუძნება არ იქნება თბილისის მთავრობის მხრიდან მართებული გადაწყვეტილება. აღნიშნულზე, დამატებით აღნიშნა ცირა შალოშვილმა, რომ სანამ არსებული მუზეუმების მოწესრიგება არ დასრულდება და თოჯინების მუზეუმს არ ექნება შენობა, ახალი მუზეუმების კიდევ ტვირთად აღება ჩვენი მხრიდან არ იქნება მართებული.

თინათინ ნიბლოშვილმა ფარაჯანოვის თემასთან მიმართებით აღნიშნა, რომ მოხდა ქუჩის სახელდება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია დედაქალაქისთვის, ხოლო მუზეუმის დაფუძნებისთვის რამდენად გვექნება საკმარისი მასალა სერგო ფარაჯანოვზე, ეს საკითხი კვალიფიციურ შესწავლას საჭიროებს, რადგანაც, როგორც ცნობილია პიროვნებასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთების უმეტესობა სომხეთის მუზეუმშია განთავსებული.

გიორგი შარაშიძე დაინტერესდა, მუზეუმების საქმიანობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, როგორ ხდება ქართული და უცხოური აუდიტორიების დაინტერესება; განსაკუთრებით საყურადღებოა, აქვთ თუ არა ტურისტებს ინფორმაცია მუნიციპალური მუზეუმების შესახებ, რაზეც მაკა ნასრაშვილმა უპასუხა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების და რეფორმების გაშუქება ხდება ტელევიზიით, რადიოთი, სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით, რაც შეეხება პოპულარიზაციას, მუზეუმებს აქვთ სხვადასხვა პროგრამები, რომელშიც მონაწილეობენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, საუნივერსიტეტო

დაწესებულებები. რაც შეეხება ტურისტებს, ამ სეგმენტისთვის დაბეჭდილია ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ფლაერები და ბუკლეტები, რომელიც სასტუმროთა ქსელებში, თბილისის მასშტაბით არის განთავსებული.

**კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.**

**განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში და განიხილა 2022 წელს დაგეგმილი პროგრამები და პროექტები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის
კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა

რთი N1



# კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2021-2022 წლის ანგარიში

# კულტურის ობიექტები

ური კოორდინირებას უწევს:

ხელოვნების სკოლას და ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯს

ენე ახვლედიანის სახელობის ბავშთა სურათების გალერეას

ზეუმების გაერთიანება 9 სტრუქტურული ერთეულით

ლტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებას - 38 სტრუქტურული თეულით

უნიციპალურ თეატრს და თანამედროვე საბალეტო დასს

ილისის საკონცეტრო ორკესტრს „ბიგ-ბენდი“

ილისის პანთეონების გაერთიანებას

ილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი



## კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურული პროექტები

20 წელს მომზადდა 4 ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის პროექტი, 2021 წელს განხორციელდა 2 ბიბლიოთეკის სრული აბილიტაცია, რეაბილიტირდა ვაკის მედიათეკა, 2022 წელს სრულად განახლდება გათბობა-გაგრილების სისტემა

აიწყო სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის რეაბილიტაცია, მოეწყო ინკლუზიური თეატრისათვის ვრცე, რეაბილიტირდა თეატრის მისაღები

ნტომიმის თეატრს გადაეცა მიწის ნაკვეთი ლისის ტბის მიმდებარედ, თეატრისა და პანტომიმის სასწავლო ცენტრის ენებლობისათვის.

მზადდა 4 ხელოვნების სკოლის რეაბილიტაციის პროექტი, 2022 წელს დაიწყება 28-ე ხელოვნების სკოლის აბილიტაცია

ასრულდა ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, მდინარეობს არჭურვის პროცესი









## სამუზეუმო საქმიანობის ხელშეწყობისათვის

სრულად რეაბილიტირდა და განახლდა ექსპოზიცია:
ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი
კოტე და სოსო წერეთლების სახლ-მუზეუმი
გალაკტიონის სახლ-მუზეუმი









გამაგრდა და რეაბილიტირდა შიო-არაგვისპირელის მუზეუმის შენობა
სამუზეუმო ფონდების შევსების მიზნით შევისყიდეთ 2000-ამდე ეპოქალური და ტიპოლოგიური ნივთი
მომზადდა 6 ორენოვანი საერთაშორისო გამოცემა
მუზეუმში უწყვეტად მიმდინარეობს 30-ზე მეტი საგანმანათლებლო ოგრამა და ვორქშოფი
ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია



1 წელს დასრულდა ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმის სრული რეაბილიტაცია

ხორციელდა:

ობის კონსტრუქციული გამაგრება
ადის დეკორატიული დეტალების რესტავრაცია
ურავის დემონტაჟი და ახალი გადახურვა
თულშუა გადახურვების მოწყობა
და სივრცეების მომზადება

ეუმში მოეწყო განახლებული ექსპოზიცია, საგამოფენო სივრცე
2 წელს მოეწყობა ქართული სტამბის მუზეუმი









2020 წლის ბოლოს გამოვისყიდეთ მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის კერძო პირის საკუთრებაში არსებული ნაწილი, 2021 წელს შევისყიდეთ სარეაბილიტაციო სამუშაობის პროექტი

2022 წელს დაგეგმილია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ექსპოზიციის მოწყობა




2021 წელს შევისყიდეთ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი (ძეგლის კვლევა, პროექტირება)

22 წელს დაიწყება რეაბილიტაციის სამუშაობი, რაც მოიცავს:
- ძეგლის გამაგრებას
- ისტორიული ნაწილის აღდგენას
- გადახურვილი გამოცვლას
- ინტერიერში აღმოჩენილი მხატვრობის კონსერვაციის სამუშაობს...







# მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი

თბილისში 4 პანთეონია. მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონები დახურულია
2018 წლის დეკემბერში პირველი დაკრძალვა განხორციელდა მახათას მთაზე მდებარე ახალ პანთეონში. პანთეონის საფლავები მოპირკეთებულია ერთგვაროვანი თეთრი მარმარილოს ქვით
2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია ახალი სამარხების მოპირკეთებისათვის სახსრები





## თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი

ESCO -მ თბილისი 2021 წლის წიგნის დედაქალაქად დაასახელა. მთელი წლის
ნმავლობაში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიება. ჩართული იყვნენ კულტურის ყველა
ეროს წარმოამდგენლები.

ოექტი ორიენტირებულია წიგნიერების და საგამომცემლო სფეროს მდგრად
ნვითარებაზე

გეგმილია:

- UNESCO World Book Capital 2022- ის დასაასრულებელი ღონისძიებების განხორციელება
- ი.ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე საბავშვო ბიბლიოთეკის სრული რეაბილოტაცია და წიგნადი ფონდის განახლება,
- ლილოს ფილიალის სრული რეაბილიტაცია და წიგნადი ფონდის განახელება

22 წლისთვს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია
ნამედროვე ავტორების ხელშეწყობა
ილისთან დამეგობრებულ ქალაქებში თანამედროვე და კლასიკოსი
რლების
არმოებების გავრცელება
ლტურის ტურიზმის ზრდა
ამომცემლო სფეროს განვითარება









# კულტურის პროგრამებისა და პროექტების განყოფილება

**2020-2021** წელს განყოფილების ფუნქციონირებისთვის გამოყოფილია **3** კოდი ბიუჯეტიდან. ესენია:
8.5 - კულტურის ღონისძიებები (სამი მილიონი)
8.9 - შემოქმედებითი თბილისი (მილიონი ასი)
8.13 - ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა (ასიათასი )




UNESCO
Creative city
network
TBILISI
2021

თბილისი გახდა პირველი ქალაქი რეგიონში, რომელმაც მოიპოვა ეს ტატუსი მედია ხელოვნების განვითარების მიიმართულებით, ტატუსი გულისხმობს თბილისი უნესკოს წევრ ქალაქებთან ულტურულ და შემოქმედებით დაახლოებას, გამოცდილებას აცვლას, საერთო პროგრამების გახორციელებას, ახალგაზრდობის ართულობას და კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების რიორიტეტად გამოცხადებას.

2022 წლის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვიათერბის რიორიტეტულ მიმართულებაა მედია ხელოვნების განვითარება.







## კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები
კონცერტი, სპექტაკლი, იუბილე, ვორქშოფები, გამოფენები, საგამომცემლო საქმიანობა და ა.შ.

2021 წლის მიმდინარე მონაცემებით, განხორციელდა და განხორციელების პროცესშია კულტურის სფეროს 200-მდე სხვადასხვა თემატიკისა და მასშტაბურობის პროექტი.



„კულტურის სფეროს განვიათრების ხელშეწყობა “ (კოდი: 08.05) ფარგლებში დაფინანსდა საპროექტო განაცხადი შემდეგი მიმართულებით:

) თეატრალური ხელოვნების ინოვაციური პროექტი
) თეატრალური ფესტივალების და სხვა თეატრალური და განმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;
) სხვადასხვა თეატრალური დადგმები,
) საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ოექტების ხელშეწყობა;
) ფესტივალების, კონცერტების, საიუბილეო ღონისძიებები;
) სახელმწიფო, სახალხო და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან კავშირებული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;










KOLGA TBILISI PHOTO




TBILISI BALLET FESTIVAL

პროგრამის - „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი: 08 09) ფარგლებში
საპროექტო განაცხადი შემდეგი მიმართულებით:

**საგამომცემლო საქმიანობა**
**დიზაინი და რეწვა**
**ვიზუალური ხელოვნება**
**აუდიოვიზუალური ხელოვნება**

ულ ჯამში 83 პროექტი.












პროგრამის - „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი: 08.13) საპროექტო განაცხადი შემდეგი მიმართულებით:




ნკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი როექტები

ხადსხვა ნამუშევრების შექმნა

ამოფენები

ნკლუზიური თეატრალური და სხვადასხვა საპილოტე პროგრამა

ულ ჯამში 13 პროექტი





# განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება

- ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების მხარდაჭერა - 142 200 ლარი
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - 200 000 ლარი
- სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა - 2 603 000 ლარი
- უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა - 220 000 ლარი
- არაფორმალური განათლების მხარდაჭერა ( მოსწავლე/ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე) – 2 963 300 ლარი
- საერთაშორისო პლატფორმებთან თანამშრომლობა.
- ბიუჯეტი ჯამში 6 152 500 ლარი

## ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

- სასკოლო კლუბების და პროექტების მხარდაჭერა, დაფინანსება
- სასკოლო ფესტივალები, ფორუმები, კონკურსები და ოლიმპიადები განხორციელება/დაფინანსება
- მოსწავლეთა მე-13 წლის დაფინანსება საჭიროების და მომართვიანობის შემთხვევაში.



## სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

**ენტების სწავლის დაფინანსება**- 3000-მდე თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ენტს რომელთა ოჯახის სოციალური ქულა 150,000 და ნაკლებია დაუფინანსდება სწავლის ტრული საფასური (50%, 70%, 100%) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის მიურ საფეხურზე, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური რების გათვალისწინებით.

**ისის მერიის სტიპენდია მაგისტრანტებისთვის** - 1000-მდე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი, ებიც სწავლობენ თბილისში მოქმედ სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა განვლილ სალექციო ში შეფასება 91 და მეტი აქვს (A ), მიიღებენ თბილისის მერიის სტიპენდიას(562.50 ლარი).

წელს გაორმაგდა პროგრამის ბიუჯეტი და გახდა 2,600,000 ლარი, სოციალური ქულის ჭერი რდა 70,000-დან 150,000-მდე, შესაბამისად გაიზარდა დაფინანსების მიმღები სტუდენტთა რაოდენობა, სტიპენდიის პროგრამაში გაუქმდა კვოტირება უნივერსიტეტებისთვის და გასსამაგდა მომართვიანობა. წელს 2900 სოც. დაუცველ სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური, 800-მდე მაგისტრანტმა მერიის სტიპენდია.

წელს დაგეგმილია სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამას დაემატოს ახალი კომპონენტი რაც ლისწინებს თბილისში რეგისტრირებული შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების და მრავალშვილიანი ის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას.

ეტი : 2,600,0000



## უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა

თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები სტუდენტებისთვის

საერთაშორისო ციფრული ფესტივალები, კონფერენციები და ვორქშოფები

უცხოელი სპეციალისტების/პროფესორების ვიზიტების დაფიანსება თბილისში მასტერკალსებისა და ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის

ჯეტი: 220,000 ლარი







# პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა

www.dasakmdi.ge




- პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამა - „ისწავლე და დასაქმდი" ითვალისწინებს სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობით სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების მოკლევადიანი პროფესიული კურსებით სწავლებას და კერძო სექტორთან თანამშრომლობით მათ შემდგომ დასაქმებას.

- მოქალაქეები პროფესიულ გადამზადებას გადიან თბილისის შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში (40-მდე სპეციალობა) მშენებლობის, ინჟინერიის, ინფორმაციის ტექნოლოგიის, მომსახურების, ტურიზმის, წარმოების, ვეტერინარიის, ტრანსპორტისა და საფინანსო სექტორებში. დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 75%-ს შეადგენს.

- 2018-2020 წლებში 4500-ზე მეტმა მოქალაქე ჩაერთო პროგრამაში, 2021-2022 წლებში 5000-მდე მოქალაქე გაივლის გადამზადებას.









## მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

ვლე- ახალგაზრდობის ეროვნულის სასახლე წარმოადგენს ახალგაზრდობის, კულტურისა და რმალური განათლების ცენტრს, რომელიც ემსახურება 6-29 წლამდე ახალგაზრდებს.

022 წელს 130-ზე მეტი კლუბი და წრე გააგრძელებს ფუნქციონირებას, საგანმანათლებლო და ოქმედებით პროცესში რომელშიც ჩართულია 5000-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა.

აგრძელდება ახალგაზრდული ორკესტრის, ახალგაზრდული ფესტივალების და ღონისძიებების მელშიც ჩართული იქნება 20,000-მდე ახალგაზრდა.

ასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის, იკალური ინსტრუმენტების და მცირე ინვენტარის განახლება.

ბილისის განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს სასახლის სრული რეაბილიტაციის პროცესი, 1 წელს დასრულდა I ეტაპი, სრული რეაბილიტაციის დასრულება დაგეგმილია 2023 წელს.

ჯეტი: 2, 987, 300





## მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები

ბილისის ახალგაზრდული სახლები თბილისის 9 რაიონში ფუნქციონირებს, რომელიც 4000-მდე ახალგაზრდას ახურება არაფორმალური განათლების, სახელოვნებო და სპორტული სერვისების ფარგლებში, მათ შორის 1800-მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლე/ახალგაზრდას.

2 წლიდან დაგეგმილია სახლებისმოდერნიზება, ინფრასტრუქტურის განახლება/რეაბილიტაცია, სასწავლო და უშაო გარემოს გაუმჯობესება.

1 წელს მომზადდა 2 ფილიალის სრული რეაბილიტაციის პროექტები, 2022 წელს დაგეგმილი გვაქვს სამგორის და ლურეთის სრული რეაბილიტაციის დაწყება რომელიც 2023 წელს დასრულდება.

ცეფციის თანახმად ახალგაზრდობის სახლები იქნება რაიონში/უბანში ახალგაზრდებისთვის თანამედროვე სამუშაო რცეები, არაფორმალური განათლების, შემოქმედებითი და სპორტული აქტივობებისთვის, ასევე მათი რეკრეაციის, თობის და დასვენებისთვის..









eurodesk

EUROPEAN SOLIDARITY CORPS

Erasmus+

❖ 2021 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით საქართველო შეუერთდა ევროკავშირის საგანმანათლებლო, ახალგაზრდულ და საინფორმაციო ქსელს- Eurodesk, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებისთვის ევროპის მასშტაბით შესაძლებლობებს სასწავლო გრანტების, მობილობის, სტაჟირების, დასაქმების და საერთაშორისო მოხალისეობის.

❖ 2022 წელს თბილისში ჩამოყალიბდება ეროვნული ოფისი Eurodesk Tbilisi , რომელიც შესაძლებლობა მისცემს თბილისში მოქმედ საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მათ შორის მუნიციპალურ ორგანიზაციებს ჩამოაყალიბონ თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან, ასევე ინიცირება გაუწიონ ერთობლივ პროგრამებს და ღონისძიებებს, ქართველ ახალგაზრდებს და სტუდენტებს დაეხმარება ჩაერთონ ევროკავშირის მასშტაბით სასწავლო მობილობის, სტაჟირების და არაფორამლური განათლების პროგრამებში.

[redacted]Erasmus+ (ევროკომისიის პროგრამა)- თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად არის ჩართული პროგრამაში, 2022 წელს დაგეგმილია პარტნიორებთან ერთად ახალი პროექტების წარდგენა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს პროგრამის დაფინანსებით არაფორმალური განათლების და ახალაგზრდობის სფეროში დასაქმებული პირების მობილობა და გაცვლითი პროექტები განხორციელდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ასევე ახალგაზრდებში და სტუდენტების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

❖ European Solidarity Corps - ევროკავშირის მასშტაბით მოხალისეობის მხარდაჭერის პროგრამა , თბილისის ახალგაზრდული ცენტრების აკრედიტაცია უკვე განხორციელდა, ასევე 2022 წელს განხორციელდება ეროვნული სასახლის და სახლების აკრედიტაცია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ უცხოელი მოხალისეები, ასევე ქართველი ახალგარზდები გავაგზავნოთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოხალსეობრივი პროექტები მიიღონს სამუშაო გამოცდილება.

[redacted]

თბილისის მერიის
კულტურის, განათლების,
სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა
საქალაქო სამსახური